ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№10.30/10/114

ქ. თბილისი

31 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №65 (შემდგომში „შემსყიდველი“), რაიონის გამგებლის **ზურაბ ჩიკვილაძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "კლიმატი"**, მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ№88/15 (შემდგომში „მიმწოდებელი“), ხელმძღვანელის **გიორგი კანდელაკის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. **ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, უბნის სამსახურებში და რაიონის სამხედრო კომისარიატის შენობაში არსებული სავენტილაციო და გათბობა- გაგრილების სისტემების ყოველთვიური პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები.**

1.2. **კლასიფიკატორის კოდი (CPV კოდი) 50700000/50720000**

1.3 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1600.00 (ათასექვსასი) ლარი 00 თეთრი.** (ერთი თვის მომსახურების საფასური შეადგენს 400 ლარს)

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა – 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, უბნის სამსახურებში და რაიონის სამხედრო კომისარიატის შენობაში არსებული სავენტილაციო და გათბობა-გაგრილების სისტემების პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები გულისხმობს: გაგრილების, გათბობის, ვენტილაციის სისტემების დაზიანების შემთხვევაში დროულად და სრულყოფილად შეკეთებას, აგრეთვე აღნიშნული სისტემების დაზიანების თავიდან აცილების მიზნითგეგმიურ ტექნიკურ შემოწმებას და პროფილაქტიკურ სამუშაოებს- დათვალიერება, დიაგნოსტიკა, გაწმენდას (თვეში ორჯერ, დანართის 1-ს შესაბამისად)

3.3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ №65. გამგეობის ზემო ჩუღურეთის უბნის სამსახური (ზაზიაშვილის ქ№2), გამგეობის ქვემო ჩუღურეთის უბნის სამსახური (ჩიტაიას ქ№5), გამგეობის სამხედრო კომისარიატი (ფიროსმანის ქ№23)

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. **2016 წლის 31 იანვრამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტი

6.1. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. მომსახურების პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.2. თუ „მიმწოდებელი“ ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.
7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.
7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
–შეამოწმოს მიწოდებული მომსახურეობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
–განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო მომსახურეობის მიღებაზე.
8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
–წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
–მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
–მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
–გააფრთხილოს „შემსყიდველი“ მომსახურეობის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ფორს-მაჟორული პირობების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოი ენება საჯარიმო სანქციები.
9.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პიროებების შესაბამისად არ განხორციელდება შესაბამისი რაოდენობის მომსახურების მიწოდება მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხელოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით
9.7.იმ შემთხვევაში, თუ ხელშერულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაკისრებული თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.8. ხელშერულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხელო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.
9.9. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.10. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას. 10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა

შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:
გამგეობის აპარატის უფროსი ანა გამყრელიძე
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.
15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.
15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ქ. თბილისის ჩუღურეთის
რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202467320
მის: ქ. თბილისის, დ. აღმაშენებლის გამზ №65
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ა/ა № GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი TRESGE22

ზურაბ ჩიკვილაძე

„მიმწოდებელი“
შ.პ.ს. “კლიმატი”
ს/კ 400046437
მისამართი: ქ. თბილისი
ბოჭორიშვილის ქ№88/15
ს/ს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22
ა/ა № GE31TB7193836020100002
ტელეფონი 599 30 72 17

გიორგი ანდელაკი

დანართი 1

ფასების ცხრილი

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	თანხა
I	III	V	IV	VI	VII
1	კონდიცირების სისტემის შედა–და გარე ბლოკის გაწმენდა	4	ცალი	15,00	60,00
2	არხული კონდიციონერის ჰერმეტულობის და წნევის შემოწმება	4	ცალი	15,00	60,00
3	არს. კონდიციონერზე ფრეონის დონის რეგულირება	4	ცალი	30,00	120,00
4	არხ.კონდიციონერის პროგრამული უზრუნველყოფა	4	ცალი	20,00	80,00
5	ტემპერატურის მაკონტროლებელი ელ. და მექანიკური დემფერის რეგულირება.	4	ცალი	10,00	40,00
6	ჰაერსატარების სადიაგნოსტიკო და გაწმენდითი სამუშაოები	1	კომპლ	40,00	40,00
	ჯამი				400,00

შ.პ.ს. „კლიმატი"
დირექტორი

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №10.30/10/114 31.08.2015 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 31 აგვისტო 2015 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2015 წლის "31" აგვისტოს გაფორმებული №10.30/10/114 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ – რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი ზ. ჩიკვილაძე

გამგეობის აპარატის
უფროსი ა. გამყრელიძე

გამგეობის
შტატგარეშე
თანამშრომელი ლ. ელისაშვილი